

82+94+33+004
8.81

სსიპ შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო
უნივერსიტეტი

შრომების კრებული

2010'3

ISSN 1987-6777



გამომცემლობა „ენიკერსალი“
თბილისი 2010

-7973-
4461-

434
25087644

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფილოლოგიის შივართულება:

თენა სუფენია – განკერძოების თავისებურებანი აფხაზურ-ქართველური ენების მარტივ წინადადებაში.....	5
ბელა მოსია – მგლის მხატვრული სახის გააზრება ხალხურ სიტყვიერ მასალებსა და ლიტერატურაში.....	12
ზეინაბ სარია – ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „სასწაული“.....	18
ლალი ჭითანავა – თომას კარლაილი და დროის “მექანიზაციის” პრობლემა.....	27
ხათუნა ვოგია – სივრცობრივი ასპექტები აგიოგრაფიასა და სამეგრელოს ყოფით სინამდვილეში.....	33
კოტე თოდუა – მეორე დასი და სოციალიზმის თეორია.....	46

აედაგოგიისა და მეთოდის შივართულება:

ლია გრიგოლია – კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება სტუდენტებში.....	55
--	----

ისტორიის შივართულება:

ზაად ქორთუა – თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობა გორში 1628-1633 წლებში.....	62
გელა ჩილაჩავა – საქართველო-საფრანგეთის სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერთობების სათავეებთან.....	75
ვახტანგ კვარაცხელია – გლობალიზაცია და ეროვნული სუვერენიტეტის თავსებადობა.....	88

აკონომიკის შივართულება:

ნინო მაჭაცარია – საქართველო და მომავლის ეკონომიკის პრიორიტეტი.....	104
ლაშა ნარსია – პატარა ქვეყნებში კასტერების ფუნქციონირების თავისებურებები.....	119
გიორგი სვირავა – ადგილობრივი თვითმმართველობები და მათი გაერთიანებების მენეჯმენტი საზღვარგარეთის ქვეყნებში.....	127
გელა სვირავა – ა) რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები.....	140

ფილოლოგიის მიმართულება

თეონა ხუფენია

განკერძოების თავისებურებაანი აფხაზურ-ქართველური ენების მარტივ წინადადებაში

განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებზე მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო მ. ციკოლიას ნაშრომმა „მარტივი წინადადება აფხაზურსა და ქართველურ ენებში“, რომელშიც ერთ-ერთ პარაგრაფად გამოყოფილია „განკერძოების თავისებურებაანი აფხაზურ-ქართველური ენების მარტივ წინადადებაში“.

ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ განკერძოება „გულისხმობს ორ მომენტს: ა) განკერძოებულ მეორეხარისხოვან წევრებს და ბ) სიტყვებსა და შესიტყვებებს (გამოთქმებს), რომლებიც არ შეიძლება მივიჩნიოთ წინადადების წევრებად და ამდენად, სინტაქსურად არ უკავშირდებიან წინადადების წევრებს, არ წარმოადგენენ შესიტყვების ორგანულ ნაწილს“ (4, 263).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო მეორეხარისხოვან წევრთა განკერძოების ავტორისეულმა წარმოდგენამ.

პირველ ყოვლისა, მ. ციკოლია აფხაზურის კონსტრუქციაში გვახედებს. ის ამბობს: „განსაზღვრება აფხაზურში, ჩვეულებრივ, ინფინიტური ზმნით გამოხატული ე.წ. მიმდებარე ფორმაა. ამიტომ, ქართულის ისეთ განსაზღვრებებს, როგორცაა: გაკეთებული, დაწერილი, შეწუხებული, გახარებული, აშენებული, გაფითრებული, აფხაზურში შეესაბამება განკერძოებული კომპონენტი, რომელიც ინფინიტურ ზმნას ან კონსტრუქციას წარმოადგენს. მისი ადგილი წინადადების შუაში ან ბოლოშია,

რაც იმითაა გამოწვეული, რომ ასეთი განსაზღვრება, ჩვეულებრივ, შედეგია კონსტრუქციის ინვერსიული რიგისა. უფრო გავრცელებულია არა ქართულისებრი იმლაშუაზ აბგაღჭუ ივზ იცონ (მშიერი მგელი გარბოდა), არამედ განკერძოებული – აბგაღჭუ, იმლაშუაზ, ივზ იცონ (მგელი, რომელიც მშიერი იყო, მშიერი რომ იყო, გარბოდა)“ (4, 273). ავტორი რამდენიმე მაგალითის შემდეგ დასძენს, რომ „ქართველური ენებიდან აფხაზურის განკერძოებულ განსაზღვრებებთან ყველაზე მეტ სიახლოვეს მეგრულის სათანადო მონაცემები ამჟღავნებს. მეგრულის ქვემოთყვანილი მაგალითები აფხაზური ენის ინფინიტურ წარმოებებს მოგვაგონებს. „ინფინიტობას“ ქმნის განკერძოებულ სინტაქსურ ერთეულში მონაწილე ზმნაში წარმოდგენილი –ნი („რომ“, „როცა“) ელემენტი და ამავე ზმნასთან უშუალოდ, (კონტაქტურად) დაკავშირებული ფერ(ი) („ისეთი“, „მსგავსი“) ზედსართავი სახელი (4, 275): შარას თოლელაღალირი ირემი ქოძირგ, თოლი ვოულუდუნი ფერი (5, 242. გზაზე თვალამოდებული ირემი ნახა, თვალი რომ არ ჰქონდა, ისეთი); თი კამბეში გეჭოფგ, მეფურიინდღნ ფერი (5, 261. ის კამეჩი აიყვანა, რომ მიფრინავდა, ისეთი); ართი კოჩი, ცალი კუჩხი ვაუდუნფერი, თაქი ქიგერე (5, 270. ერთი კაცი, ცალი ფეხი რომ არ ჰქონდა ისეთი, აქ დგას); გამოსაცთელი საგანევი გაგმანწყუ ოთხი, ხუთი შხვადო – შხვანერი, ძალი, ჭკუა დო მეხვამილაფა ოსაჭირუნი ეფერევი (5, 35. გამოსაცდელი საგნები მოამზადა ოთხი, ხუთი სხვადასხვანაირი, ძალი, ჭკუა და მიხვედრილობა რომ სჭირდება, ისეთი); ღარიბი კოჩი რე თენა, მუთუნი ვაპალუნი ფერი (5, 79. ღარიბი კაცი არის ეს, არაფერი რომ არ აბადია, ისეთი); ათე ქიჯანაში, ხენწფეს ეუნს ართი ცირასქუა, ცა ვაფგ ძირაფილ დო დიხაშა ვადუდგმე კუჩხინ ეფერი (5, 89. ამ ქვეყნის ხელმწიფეს ჰყავს ერთი ქალიშვილი, ცა არა აქვს ნანახი და მიწაზე ფეხი რომ არ დაუდგამს, ისეთი).

ჩვენი აზრით, ავტორის მიერ ჩამოთვლილი მაგალითები აშკარად რთული ქვეწყობილი წინადადებებია, რომლებშიც მოცემულია მისათითებელი სიტყვაც და მაქვე-

დებარებული კავშირიც, მხოლოდ, ქართულისაგან განსხვავებით, მათი ადგილები შეცვლილია, სხვაგვარადაა განაწილებული, რაც საერთოდ ნიშანდობლივია მეგრულისათვის: „მეგრულში ყველაზე ხშირი ხმარებისაა კავშირი ნი („რომ“, „როცა“, „თუ“), რომელიც ყოველთვის ენკლიტიკურად მოეკვრის დამოკიდებული წინადადების ბოლო წევრს. ხოლო, როცა ასეთ-კავშირიანი დამოკიდებული წინადადება მთავარს მოსდევს, ნი ყოველთვის რთული ქვეწყობილი წინადადების ბოლოში აღმოჩნდება, ასეთი რამ ქართულისთვის უჩვეულოა“ (1,8).

აქვე კ. დანელია მიუთითებს, რომ „მეგრული სინტაქსის გამოკვეთილ სპეციფიკას წარმოადგენს მთავარი წინადადების მისათითებელი სიტყვის (კორელატის) გადასმა დამოკიდებული წინადადების ბოლოში, რის შედეგად, მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის მიჯნა ერთგვარად იშლება და რთული წინადადების ორივე კომპონენტი ერთ მთლიან ინტონაციურ-არტიკულაციურ მონაკვეთად იქცევა“ (1, 9).

ყოველივე ამის აღნიშვნის შემდეგ დავუბრუნდეთ და დავაკვირდეთ მ. ციკოლიას მიერ წარმოდგენილ წინადადებებს.

ზევით ჩვენ წინადადებები გადმოვაქართულეთ ისე, რომ არ დაგვირღვევია მეგრულის სპეციფიკა და სტრუქტურა, ახლა კი იმავე წინადადებებში კავშირი და მისათითებელი სიტყვა გადმოვაწყით ქართულის მსგავსად: გზაზე თვალამოდებული ისეთი ირემი ნახა, რომ თვალი არ ჰქონდა (შარას თოლელაღალირი თიცალი (ფერი) ირემი ქოძირგ, ნამდა თოლი ვოულუდუ); ის კამეჩი აიყვანა ისეთი, რომ მიფრინავდა (თი კამბეში გეჭოფგ, ფერი, ნამდა მეფურინუნდგ); ერთი კაცი, ისეთი, რომ ცალი ფეხი არა აქვს, აქ დგას (ართი კოჩი, ფერი, ნამდა კუჩხი ვაულუ, თაქ ქიგერე); გამოსაცდელი საგნები მოამზადა ოთხი, ხუთი სხვადასხვანაირი, ისეთები, რომ ძალი, ჭკუა და მიხვედრილობა სჭირდება (გამოსაცდელი საგანეფი გაგმანწყუ ოთხი, ხუთი შხვადოშხვანერი, თინერეფი ნამდა ძალი ჭკუა დო მეხვამილაფა ოსაჭირუ); ღარიბი კაცი

არის ეს, ისეთი, რომ არაფერი აბადია (ღარიბი კოჩი რე თენა, ფერი, ნამდა მუთუნ ვაპალუ); ამ ქვეყნის ხელმწიფეს ჰყავს ერთი ქალიშვილი, ისეთი, რომ ცა არა აქვს ნანახი და მიწაზე არ დაუდგამს ფეხი (ათე ქუანაში, ხენწეფეს ეუნს ართი ცირასქუა ფერი, ნამდა ცა ვაფე ძირაფილ დო დისაშა ვადუდგემე კუჩხი).

როგორც მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, მივიღეთ სრულყოფილი ქვეყნობილი წინადადებები, სადაც არავითარ განკერძოებას ადგილი არა აქვს. მაშასადამე, მეგრულის სპეციფიკური წყობა განკერძოების თავისებურებაზე კი არ მიუთითებს, არამედ აშკარად რთული ქვეყნობილი წინადადების მეგრულისთვის დამახასიათებელი, ნიშანდობლივი კონსტრუქციაა.

კიდევ უფრო რომ დავრწმუნდეთ ზემოთქმულის სისწორეში, მივყვეთ მ. ციკოლიას მსჯელობას: „გარკვეული აფხაზურ-მეგრული სინტაქსური შეფარდებითობა გვაქვს ადგილის გარემოების განკერძოებაშიც. როგორც ცნობილია, აფხაზურში განკერძოებული ადგილის გარემოების როლს ხშირად ინფინიტური კონსტრუქცია ასრულებს, რომელსაც მეგრულში სათანადო (ინფინიტისებრი) შესიტყვებები ეძებნება“ (4, 282) და მოჰყავს შემდეგი მაგალითები: გოურქუ დო ქდოლ თექ, სოდე თი რაში ჯანუდუნი (5, 30. დაიძრა და დავარდა იქ, სადაც (რომ) ის რაში იწვა); ინოდოხოდე თე ბოშიქ ჭკუც დო ხენწეფეშეუდუშა ქიმერთო, სოდეთ რე შეფა კეთებულინი (5, 282. ჩაჯდა ეს ბიჭი ყუთში და ხელმწიფის სახლში მივიდა, სადაც (რომ) არის სეფა გაკეთებული); ქემერთეს თი სახენწეფოშა, სოდეთ თე კოჩი ნოცხოვრებუედუნ (5, 83. მივიდნენ იმ სახელმწიფოში, სადაც (რომ) ეს კაცი ნაცხოვრილა); ქიმერთო თი ქალაქიშა, სოდეთ ოსური დიტუნ (5, 45. მივიდა იმ ქალაქში, სადაც (რომ) ცოლი დატოვა). ამ მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წარმოადგენილია მხოლოდ რთული ქვეყნობილი წინადადებები ყოველგვარი განკერძოების გარეშე. გარდა ამისა, ბოლო ორი მაგალითი აშკარად განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებებია, არათუ ადგილის გარემოების განკერძოე-

ბა, ვინაიდან, მათში მოიპოვება კორელატი „თი“ (იმ) და პასუხობს კითხვაზე „რომელ?“ და არა „სად?“

აქვე ვიტყვით რამდენიმე სიტყვას მეგრულის კიდევ ერთ თავისებურებაზე: „**ნი** კავშირი გადმოუღებელი რჩება, თუ წინადადებაში სხვა საკავშირებელი სიტყვაცაა ნახმარი. როცა მეგრულში რთული ქვეწყობილი წინადადება ორ საკავშირებელს იყენებს (მუჭო-ნი „როგორც-რომ“, ნამუთ-ნი „რომელიც-რომ“, მუჟანს -ნი „როცა-რომ“, სოდეთ-ნი „სადაც-რომ“ ...) გადმოქართულებისას გადმოდის მხოლოდ კონკრეტული ფუნქციის საკავშირებლები (მუჭო, ნამუთ, მუჟანს ...) (1,8), ყოველივე ეს გამოჩნდა ზემოთ მოყვანილ მაგალითებში („ნი“-**(რომ)** ფრჩხილებშია ჩასმული) და კიდევ შევხვდებით არაერთგზის ქვევით.

მ. ციკოლია აღნიშნავს: „აფხაზურ-ქართველური სინტაქსური შეხვედრების თვალსაზრისით საყურადღებოა სურათი, რომელსაც ვითარების გარემოების განკერძოება ქმნის მეგრულში. აქაც, ისევე, როგორც განსაზღვრებისა და ადგილის გარემოების განკერძოებისას, ხშირად საქმე გვაქვს ინფინიტისებრ წარმოებებთან, რასაც –**ნი** („რომ“, „როცა“) სუფიქსიანი ზმნა ქმნის მუჭო – მუჭოთ („როგორც“) კავშირთან ერთად“ (4, 290). მოყვანილია შემდეგი მაგალითები: ექ ქიმერთუნ, ირფელი თეში ქოქიმინ, მუჭო ცირაქ დაგურუნ (5, 50. იქ რომ მივიდა, ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც (რომ) გოგომ ასწავლა); ბეგოქ ირფელი თეში შიარსულგ, მუჭო ჯიმაქ უწუნ (5, 102. ბეგომ ყველაფერი ისე შეასრულა, როგორც (რომ) ძმამ უთხრა); ათენა... მუჭო გიწისიე, თეში ქოთქვია (ეს... როგორც გითხრესო, ისე თქვიო). ჩვენი დრმა რწმენით, ეს წინადადებები უდავოდ ვითარების გარემოებით დამოკიდებულის შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადებებია.

„ინფინიტისებრია მეგრულში განკერძოებული დროის გარემოებაც, რომელიც მიიღება –**ნი** („რომ“, „როცა“) აფიქსიანი ზმნისა და საგარემოებო მუჟანს („როცა), თიწკმა // თიწკალა (მაშინ“), თე დროს („ამ დროს“), თი დროს („იმ დროს“) სიტყვათა საერთო ძალისხმევით“ (4, 295). ჩამოთვლილია შემდეგი მაგალითები: სირჩინუეშ

დროს, მუჟამც დელახე დო ღურას ქიმიოდგროთენი, ქიმი-
ჭანუ მუში ჟირხოლო სქუალეფი (5, 177). მოხუცებულო-
ბის დროს, როცა დაავადდა და სიკვდილს მიაღება, მოიხ-
მო თავისი ორივე შვილები); მა მუჟანს გიწუენი, რაში
თიმწკმა დამაბარე (5, 160. მე როცა (რომ) გითხრა, რაში
მაშინ ჩამაბარე); მუჟანს ირფელქ ქიდისორგენი, თინწკმა
კინი ქემურთუმე მუმა ყვარიას თე ქეჯანაშა (5, 88. როცა
(რომ) ყველაფერი დახვადდა, მაშინ ისევე მოსულა მამალი
ყვაფი ამ ქეყანაში). ეს წინადადებები კი აშკარად დროის
გარემოებით დამოკიდებული რთული ქვეწყობილი წინა-
დადებებია.

ყოველივე ამის გვერდით, მ. ციკოლია მიუთითებს,
რომ მეგრულში გვაქვს პარალელურად ქართულისებრი
განკერძოებული განსაზღვრებები თუ ქართულისებრი
განკერძოებული გარემოებები... და მოჰყავს მაგალითები...

როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობა მოწმობს,
მეგრულში არა გვაქვს ინფინიტისებრი განკერძოებული
არამთავარი წევრები.

ამრიგად, ჩვენი აზრით, მეგრულში წარმოდგენილი
რთული ქვეწყობილი წინადადებების წყობა-აგებულება,
კონსტრუქცია შეიძლება ძალიან ჰგავს აფხაზურში წარ-
მოდგენილ ინფინიტისებრ წარმოებას, მაგრამ ეს არ გვაძ-
ლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ეს იყოს განკერძოე-
ბის ერთ-ერთი სახე, ასე ვთქვათ, განკერძოების თავისე-
ბურება მეგრულში, რადგან წარმოდგენილი წინადადებე-
ბი, მაგალითები, უდავოდ, რთული ქვეწყობილი წინადა-
დებია.

რეზიუმე

მეგრულში წარმოდგენილი რთული ქვეწყობილი
წინადადებების წყობა-აგებულება, კონსტრუქცია შეიძლე-
ბა ძალიან ჰგავს აფხაზურში წარმოდგენილ ინფინიტი-
სებრ წარმოებას, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის თქმის სა-
შუალებას, რომ ეს იყოს განკერძოების ერთ-ერთი სახე,
ასე ვთქვათ, განკერძოების თავისებურება მეგრულში,

რადგან წარმოდგენილი წინადადებები, მაგალითები, უდა-
 უოდ, რთული ქვეწვობილი წინადადებებია.

Summary

The structure of sentences, multiplex sentences, with main part and depended part, in Megruli may be is very similar of Abkhazian sentences which we call infinitive part, but this example never give us the shance of saying it is one example of participle. To sum up it is the exception of sentences in Megruli. The sentences shown here are the examples of multiplex sentences with main part and dependent part of sentence.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დანელია კ., ცანავა აპ., ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, თბ., 1991.
2. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.
3. შამელაშვილი რ., განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1958.
4. ციცილია მ., მარტივი წინადადება აფხაზურსა და ქართველურ ენებში, თბ., 1990.
5. ხუბუა მ., მეგრული ტექსტები, ტფ., 1937.